№ 66

კვირა, 27 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | ... | 10 — | 6 | ... | 6 — |
| 11 | ... | 9 50 | 5 | ... | 5 50 |
| 10 | ... | 8 75 | 4 | ... | 4 75 |
| 9 | ... | 8 — | 3 | ... | 3 50 |
| 8 | ... | 7 25 | 2 | ... | 2 75 |
| 7 | ... | 6 50 | 1 | ... | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 66

კვირა, 27 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ი ვ ე რ ი ა“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
კვირას, 27 მარტს
ამხანაგობა ქართულის თეატრის არტისტებისა გამართავს წარმოდგენას
წარმოდგენილი იქმნება
პირველად ახალი პიესა
**უბრალოდ დასჯილნი**
კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა. თარგ. ივ. მაჩაბარიანისა
**მოთამაშენი:** ქქ. ავალიშვილისა, მაქსიმიძისა, ნებიერიძისა, ტარიელოვისა, როტინოვისა; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ცაგარელი, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, თამაზოვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ალექსი-მესხიშვილი
ადმინისტრატორი შათირიშვილი

ტფილისის სობრანიე
სამშაბათს, 29 მარტს
ქართულის თეატრის არტისტი
**ვ. ა. აბაშიძე**
გამართავს საღამოს
წარმოდგენილი იქნება
I
**ბაიყუში**
კომ. 2 მოქ. ა. ცაგარლისა
II
**ცელქები**
ვოდევილ. 1 მოქ. კუპლეტებით
დასასრულ
**დივერტისმენტი**
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, მელიქიშვილისა, მაქსიმიძისა, რჩეულოვისა; ბ. ბ. აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი, ყიფიანი, გუნია, ცხომელიძე, არაქსიანი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხვ.
წარმოდგენის შემდეგ გაიმართება
ტ ა ნ ც ი ო ბ ა
ადგილების ფასი 3 მანეთიდ. ვიდრე 65 კაპ.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

## გამგე კომიტეტი

„ტფილისის საქალაქო სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა“ უმორჩილესად სთხოვს ამ „საზოგადოების“ წევრთა მობრძანდნენ წლიურს კრებაზე, რომელიც ამ თვის 27 რიცხვსა, კვირას, 12 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში იქმნება. რ. (2—2)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის მმართველობისაგან.**

ვინაიდგან ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდგან სესხის გატანის მსურველნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე კერძო შუამავალთ, რომ გვირჩიეთ და დაგვეხმარეთ, როგორ და რა გზით უნდა გავიტანოთ სესხიო, რისთვისაც, რასაკვირველია, სასყიდელსაც იხდიან. ამიტომ ზემოხსენებულ ბანკის მმართველობა აცხადებს და სთხოვს სესხის გატანის მსურველთ პირ-და-პირ ბანკის მმართველობას მიჰმართონ საჭირო რჩევისა და ცნობების მისაღებად და, ამით თვიდგან აიცილონ ყოველივე ის ხარჯი, რომელსაც შუამავალთა შრომისათვის იხდიან. საზოგადოდ სასურველია, რომ ბანკთან საქმის დაჭერას მოწადინებულთ თვით ბანკთანვე იქონიონ პირ-და-პირ დამოკიდებულება და მოლაპარაკება. (3—2)

## ტფილისი, 27 მარტს

—

ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვენახა და დაგვეთვალიერებინა სტამბა, რომელიც ტფილისის მეტეხის საპატიმროსთან არის დაარსებული. სტამბას დათმობილი აქვს ხუთი თუ ექვსი დიდი ოთახი, მიწვეულია გამოცდილი ასოთ-ამწყობი პატიმრების მასწავლებლად, გამოწერილია მსწრაფელ-მბეჭდავი მანქანა და ყოველ დღე ოც დაათამდე პატიმარი ჰმუშაობს ამ სტამბაში. პატიმარნი არჩევენ დაბეჭდილს სვეტებს ნაწარმოებისას, პატიმარნი აწყობენ ასოებს, პატიმარნივე ატრიალებენ საბეჭდავ მანქანის ჩარხს. სწორედ სიამოვნებით აევსება გული ყოველს ამ დანაშაულის მოსანანიებელ ადგილს შემსვლელს, როდესაც დაინახავს დასჯილთ მშრომელთა და გატაცებით მომუშავეთ.

ჩვენ ამ სტამბის გამართვის სიკეთე და სარგებლობა უკვე გვქონდა აღნიშნული ერთხელ და ეხლა თუ შევეხებით კვლავ ამ საგანს, მხოლოდ იმიტომ, რომ საინტერესოდ დავინახეთ ორიოდე სიტყვა მეტეხის საპატიმროს სტამბის მმართველისა, რომელმაც ჩვენ მიერ სტამბის დათვალიერების დროს ჩვენი ყურადღება ამ სიტყვებით ერთს გარემოებას მიაქცია. ეს გარემოება ის არის, რომ პატიმარნი დიდხანს არა რჩებიან სტამბაში, უმრავლესობას მათგანს სამის, ოთხის, ექვსის თვით აქვს მისჯილი დაპატირება; ამ ექვს თვეს ცოტად თუ ბევრად სწავლობს ასოთ ამწყობლობას, მაგრამ იმდენად ვერა ხელოვანდება ამ საქმეში, რომ საპატიმროდგან განთავისუფლების შემდეგ მართლა ამ საქმეს მიჰყოს ხელი და ლუკმა-პურის, დღის საზრდოს მოპოვება შეიძლოს. სამწუხარო მხოლოდ ეს არისო, გვითხრა სტამბის მმართველმა, რომ პატიმარნი დიდხანს არა რჩებიან და ამ ოც-და-ათ კაცში, რომელნიც დღეს ჰმუშაობენ, ერთის თვის განმავლობაში რამდენიმე დაპატიმრების ვადას ათავებს და გადის, იმათ მაგიერ მუშაობას იწყებენ ახლად დაპატიმრებულნი, რომელნიც ხელახლად შეუდგებიან ხოლმე სწავლასაო.

ეს გარემოება მართლაც იმდენად საყურადღებოა, რომ მასთან ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელია. ჩვენის აზრით, ამ სტამბას მარტო ის დანიშნულება-კი არა აქვს, რომ უსაქმოდ, უსამუშაოდ არ ამყოფოს საპატიმროს პატიმარნი, არამედ ისიც, რომ ხელობა რამ შეასწავლოს მუდმივად ცხოვრებას ჩვეულს, შეასწავლოს იმდენად, რომ საპატიმროდგან გამოსვლის დროსაც შეიძლოს იმითი ცხოვრება და იგემოს სიტკბოება შრომით მოპოვებულის ლუკმისა. თუ ასეთი სასარგებლო შედეგი არ მოჰყვა საპატიმროსთან სტამბის დაარსებას, მისი არსებობა სრულიად უმნიშვნელოდ და უარარაოდ ჩაივლის. სასურველია, რომ საპატიმროს სტამბა უფრო საფუძვლიანს ცოდნას აძლევდეს პატიმრებს.

თუ ამასთან გავიხსენებთ აზრს პეტერბურგისა და მოსკოვის ნაფიც მსაჯულებისას, რომელთაც თხოვნა მიართვეს მთავრობას და აღნიშნეს ის ამბავი, რომ ხელ-მეორედ დანაშაულს სჩადიან უმეტესად ისინი, რომელნიც ერთხელ ყოფილან დასჯილნი, დასასჯელ ადგილიდგან დაბრუნებულან და საქმე, სამუშაო ვერ უპოვნიათ; ვერ უპოვნიათ იმ მიზეზით, რომ მცხოვრებლებს, მკვიდრთ აღარ მიუკარებიათ ახლო, აღარა ჰნდობიან ერთხელ ნდობა-დაკარგულთ და ისინიც, ულუკმა-პუროდ დარჩენილნი, იძულებულნი ყოფილან უკანონო საშუალებისათვის მიემართათ საცხოვრებელ ქონების მოსაპოვებლადაო. ამიტომ ხსენებულნი ნაფიცნი მსაჯულნი საჭიროდ ჰხადიან, რომ პატიმართ, მას შემდეგაც, როდესაც გადაიხდიან თავისს სასჯელს და დაბრუნდებიან დასასჯელ ადგილიდგან, კანონმა თავისი მფარველობა არ მოაკლოს, შეივრდომოს იგი, შეეწეოს აღმოუჩინოს და შეაძლებინოს საკუთარის ძალითა და ღონით ცხოვრებაში თავის ისე გატანა, რომ დანაშაულის ჩადენას არ იყოს იძულებული.

თუ ამას გავიხსენებთ, აშკარად დასარწმუნებელი გახდება, რომ აწინდელი ვითარება ტფილისის მეტეხის საპატიმროს სტამბისა არ

# ფელეტონი

—

**აფხაზეთი**

(გუდავათის განყოფილება)

აფხაზეთი მდებარეობს შავი ზღვის პირად მდინარე ენგურიდგან თითქმის გაგრამდის და შეადგენს სოხუმის ოლქს. გაგრისკენ მოსახლეებს სრულიად ვერა ჰნახავთ და მხოლოდ როცა მდინარე ბზიბს გამოივლით, მაშინ შეხვდებით აფხაზთა ფაცხებს, უსათუოდ გვიმბრით დახურულთ. ეს გვიმბრის სახურავი საშინლად გააოცებს უცხო მოგზაურს, რომელიც ალტაცებაში მოჰყავს მშვენიერ ადგილებს და ვენახიან მამულებს. სწორედ რომ გასაოცარია ამ დალოცვილ ქვეყნის სიღარიბე.

გუდავათის განყოფილების მცხოვრებნი განსხვავდებიან სხვა აფხაზთაგან; ეს მხარე უფრო დაშორებულია საქართველოზედ და ამიტომ აქ უფრო დარჩენილა ძველი ჩვეულებანი; ქართულს ან მეგრულს აქ იშვიათად გაიგონებთ, თუმცა აფხაზეთის მთავრის სასახლეში მხოლოდ ქართული ენა იყო მიღებული.

რა არის მიზეზი აქაურთა სიღარიბისა? ძლიერ იშვიათად ჰნახავთ, რომ აფხაზი მუშაობდეს. მშვენიერ დღეს, როცა დღიური მუშა ღირს, უკანასკნელი, მანეთი, ექვსი აბაზი—ხშირად შემხვედრია ოცი, ოცდა-ათი ცხენოსანი. რომ ჰკითხოთ—საით მიდიხართო: «ისე, დავსეირნობთო»—გიპასუხებენ. გუდავათში ყოველ-დღე განყოფილების უფროსის სამდივნო სავსეა აფხაზებით. ასე გგონიათ საქმეები აქვთო. „ისე მოვედით, გვინდოდა შეგვეტყო, „ნაჩალნიკი“ როგორ არისო“, გიპასუხებენ ოც-ორმოც ვერსიდგან მოსულნი აფხაზნი.

აფხაზს გადასახადი 5 მანეთამდის აძევს; ამ ხუთის მანეთის შოვნას ხომ ბევრი მუშაობა არ უნდა, თუ ამასთან ცოტა სიმინდი აქვს და „ოდესის“ ღვინო, სხვა არა უნდა-რა, მაგრამ „ოფლით“ მუშაობა არ მოსწონს აფხაზს.

თითოეული საზოგადოება ირჩევს რამდენსამე მარჯვესა და „პატიოსანს“ კაცს ხევის თავებს. ამათ ეძლევა წელიწადში კომლზედ სამ-სამი მანეთი. მოხდება თუ არა ქურდობა, მაშინვე უნდა შეატყობინონ ხევისთავებს. ხევისთავები მოვალენი არიან სამ დღეში ქურდი მიიყვანონ განყოფილების უფროსთან. მიყვანის გარდა—ისინი ახდევინებენ ქურდს 60 მანეთს ჯარიმას და მოპარულის ფასს, იმდენს, რამდენადაც დააფასებს თავის კუთვნილებას ის, ვისაც მოჰპარეს. ჯარიმა ხევისთავებისაა.

თუ ქურდი ვერ აღმოაჩინეს, ხევისთავები იხდიან მოპარულის ფასს. რასაკვირველია, დაზარალებული ყოველთვის მეტად აფასებს თავის საკუთრებას, ვიდრე ჰღირს. ადვილი მისახვედრია, რომ ხევისთავებს იშვიათად დაემალებათ ქურდი, და რადგანაც ჯარიმა იმათ სასარგებლოთ მიდის — რასაკვირველია — ქურდის აღმოჩენას მონდომებულნი არიან.

საუბედუროდ სწავლა განათლებას აფხაზეთში, სრულიად არ მოუკიდნია ფეხი. პირველი მოვალეობა იმისი, ვისიც საქმეა ზრუნვა ამ ქვეყნის სწავლა-განათლებისათვის, ის არის, რომ ხალხს შეაყვაროს სწავლა და სკოლის კეთილი ნაყოფი აშკარად უნდა დაინახოს ხალხმა. ამისათვის ყოვლად საჭიროა თითოეულ საზოგადოებაში დაარსდეს სასოფლო სასწავლებელი; სასწავლებელი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შეგირდები—საჩუქრით თუ სხვა რამ ხერხით—მიიზიდოს და რამდენისამე წლის უკან თვით ხალხიც მოინდომებს სასწავლებლის დამართვას.

ამ დღეებში გუდავათში იყო სახალხო სკოლების ინსპექტორი ქუთაისის გუბერნიისა, რომელმაც გამოუცხადა ხალხს, რომ თქვენ სახლი ააშენეთ, მასწავლებელს ჯამაგირი დაუნიშნეთ და მასწავლებელს გამოგიგზავნითო, თან ცოტას ჩვენის მხრითაც მოგეხმარებითო. რასაკვირველია, ეგრე საქმის დაწყებით სწავლა-განათლება ვერ მოიკიდებს ფეხს აფხაზეთში.

მთელს გუდავათის მხარეზედ მარტო ერთი საეკკლესიო სკოლა არის ს. ლიხნაში და იმასაც ყურს არავინ უგდებს. ამდენი ყმაწვილები ჯერჯერობით მარტო ცხენოსნობას სწავლობენ.

ერთი უპირველესი მიზეზი აფხაზეთის უბედურებისა არის სარწმუნოების დაცემა. ოფიციალურად უმეტესი ნაწილი ქრისტიანია, მაგრამ ნამდვილად-კი, არც ქრისტიანია და არც მაჰმადიანი. მუსულმანებს-კი მაინც უფრო მტკიცედ უჭირავთ თავისი სჯული, ვიდრე ქრისტიანებს, რომელთა არავითარი წესი მართლ-მადიდებელის სარწმუნოე-

ამაყოფილებს თავისს დანიშნულებას. ამისათვის, ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ, ჯერ-ჯერობით მაინც, ვიდრე ყველგან გავრცელდებოდეს და განხორციელდებოდეს ბედნიერი აზრი, რომელიც პეტერბურგისა და მოსკოვის ნაფიც მსაჯულთ მოსვლიათ, მეტეხის საპატიმროს სტამბაში დანიშნულ იქმნენ ის პატიმარნი, რომელთაც უფრო დიდის ხნითა აქვთ გადაწყვეტილი ამ საპატიმროში ყოფნა, რათა უკეთ შეისწავლონ ხელობა. მართალია, მაშინ სტამბაში მუშაობა და ყოფნა უფრო ნაკლებს რიცხვს პატიმრებისას შეხვდება, მაგრამ ეს მცირე რიცხვი კარგად შეისწავლის ასოთ-აწყობის ხელობას და სრულს ცოდნას შეიძენს, იმდენად სრულს, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ცხოვრებაში ლუკმა პურის შესაძენად.

რაც შეეხება სატახტო ქალაქების ნაფიც მსაჯულთა აზრს, მართლაც დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, რომ პატიმართა გულშემატკივართა და ქველ-მოქმედთ, ქალთა თუ კაცთ, დაეარსებინათ საზოგადოება, რომელიც მფარველობას აღმოუჩენდა საპატიმროდგან გამოსულთ, სამუშაოს, საქმეს, ადგილს მოუძებნიდა, თვალ-ყურს ადევნებდა იმათს ცხოვრებას და იმათ თავდებობასაც იკისრებდა დამქირავებელთა წინაშე.

ფარნაოზი

# ახალი ამბავი

*** ბ-ნს ტატიშვილს დაუმზადებია ფოსტის ქაღალდი, რომლის კუთხეში დახატულია ფერადით სვეტი-ცხოველი ხვეულის ყვავილებით და სახე შოთა რუსთაველისა. როგორც გვითხრეს მალე მოამზადებს ისეთს ქაღალდსაც, რომელზედაც დახატული იქმნება ვარძია და თამარ-მეფე, დავით აღმაშენებელი და გელათი. ასეთი ფოსტის ქაღალდი ისყიდება ჯერ-ჯერობით „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ექვსი თაბახი ჰღირს 15 კაპ.

*** პარასკევს, 25 მარტს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში გამართული იყო ბაასი. ამ ბაასზედ ა. ა. ქალანთარმა ლაპარაკი ჩამოაგდო მოუსავლობის ერთის მიზეზის შესახებ. მისის აზრით, ამისი მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ გლეხკაცი თესლს არ აახლოებს. არ არჩევს თესლს, არეულს ნაგვიანსა სთესავს და არ მოეპოვება თესლის გადასარჩევი მანქანები.

ამას გარდა გლეხნი არც-კი სცდიან ხოლმე სათესლე ხორბალს, გამოსადეგია თუ არა და შეიძლებს თუ არა ნაყოფის გამოღებას, თუმცა ამისი ცდა ფრიად ადვილია. ხორბლის თესლი რამდენსამე დღეს უნდა შეახვიოს სველს ნაბადში, და ადვილად შეეტყობა ნაყოფიერია თუ არაო. დადგენილ იქმნა: გამოიწერონ რუსეთიდგან რამდენიმე ეგზემპლიარი თესლის გამრჩევის მანქანისა, ღირებული თითოეული 10—12 მანეთამდე და გამოსცადონ ეს მანქანანი გუთნებთან ერთად.

*** ცხინვალი: ათასი ხარჯი და ბორჯი დაგვაწვა თავს და, იმას რაღა მოგვაფიქრებდა, რომ ტყის მცველებიც ასე უდიერადა და სასტიკად მოგვექცეოდნენ. რამდენიმე სოფელი სწორედ გაიჭყლიტა და გაწყალდა ამ „აბიესჩიკებისაგან“. თუ რაც მოეწონათ და რა ღალა-კულუხიც უნდათ სოფელში ის ვერ აიღეს, მაშინვე ოქმს შეუყენებენ და აჯარიმებენ ხალხს.

ამ ორის კვირის წინად სოფ. დგვრისში, რომელიც ცხინვალზედ ძრიელ ახლოა, ვიღაც ავმა კაცებმა აუჩეხეს გლეხს სალამაძეს ვენახი და შვილის ბადალი ნამყენები. ამავე სოფელში ამას წინად დააბეზღეს აქციზის მოხელესთან გლეხი ყაზარაშვილი, არაყსა ჰხდისო. გაუჩხრიკეს სახლი, მაგრამ ბრალდება არ დამტკიცდა. ასეთი შური, მტრობა და გაუტანლობაა ჩვენკენ მეზობლობაში.

ამ მარტში ერთი დღე მზიანი არ გვინახავს თითქმის: სწვიმს, თოვლს, 21 მარტს ისეთი თოვლი მოვიდა, რომ ერთის ჩარექის სიმაღლეზედ დასდო თოვლი. ჯერ ვენახში თითქმის არ შეუხედნია მუშას; გუთნები ხომ არ ვიცით, როდის შეიბმის უამინდობის გამო.

*** სად. სალ-ოღლი: 25 მარტს, საღამოს 8 საათზედ, როდესაც მატარებელი სოუტ-ბულახიდამ მოდიოდა, კონდუქტორმა შეჰნიშნა ერთს ვაგონზედ ვიღაც საეჭვო კაცი და დაეხმაურა. უცნობმა პასუხის მაგიერ ესროლა რევოლვერი კანდუქტორს და დასჭრა მკლავში.

სადგურზედ ჰნახეს ვაგონი და ღიაკი იყო. რამდენიმე ყუთი შაქარი აკლდა იმ ვაგონის საქონელს.

*** თელავი: ამ გაზაფხულზედ ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორის განკარგულებით, საცხენისის სკოლის სამეურნეო განყოფილების მმართველმა, უსასყიდლოდ გაუგზავნა კახეთის საერო სკოლებს ნამყენები—მსხალი და ვაშლი, ოცდაათი ძირი თითო სკოლას, რომელსაც-კი იმათი დასარგავი ალაგი მოეპოვებოდა. დიდის მადლობის ღირსნი არიან, როგორც ამ საქმის მოთავენი, ისე იმ სკოლის პატარა შეგირდები, რომელთ ნამოქმედარი და „შვილივით ნაზარდი“ უნდა იყოს ის ოროლ-სამსამი წლის მშვენიერი ნამყენები; მადლობის ღირსნი არიან ყველანი მით უმეტეს, რომ იმათგან ნაძღვნევი ნამყენები, ეჭვი არ არის, უბრალო ჯიშისა არ იქნება და ეს გარემოება საშუალებას მისცემს სოფლის ხალხს უკეთესის ღირსების ხილის სანამყენე ტოტები შეიძინონ, თუ რომ იხარეს ახლა დარგულმა ნამყენებმა ზემოხსენებულ სკოლებში.

*** ხევი: ვასილ აბაევის გვამიც 22 მარტს იპოვეს თოვლ-ქვეშ და ქირი-უფლებს გაუგზავნეს. დღიური მუშა ზვავების გასაწმენდად აქ 60 კაპ. ამ ფასს გარდა, მუშას ეძლევა სამი გირვანქა პური დღეში. მსურველი მუშაობისა ბევრია. ბევრი კიდევაც უსაქმოდ რჩება. ურმის გზა ამ სამიოდ დღეზედ გავა, ჯერ-ჯერობით-კი ისევ მარხილებით გადადიან ზვავებზედ. ჩამოსასვლელი ზვავები ჯერ კიდევ ბევრია მთაში. ამ უკანასკნელ ორ-სამ დღეს კარგი ამინდები იყო, თუმცა ჰყინავდა-კი ძლიერ.

*** ბათუმი: თუმცა კარგა ხანია აქ ქართული სკოლა არსებობს და ეს სკოლა, შეძლებისამებრ, საკმაოდ ავრცელებს წერა-კითხვას, მაგრამ მაინც თავის უპირველესს საწადელს ვერ ასრულებს—ვერ ავრცელებს ქართულს წერა-კითხვას მაჰმადიან ქართველთა შორის. მართალია ზემოხსენებულს სკოლაში მაჰმადიანთა ყმაწვილებისათვის სჯულის მასწავლებელი ხოჯა არის, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. საჭიროა უფრო მეტად დაუახლოვდეს სკოლა ქართველ მაჰმადიანთ. ამ საქმეში ბევრი შეუძლიან გააკეთოს სკოლის აქაურმა კომიტეტმა. ამას წინად, ამ კომიტეტმა თავი მოუყარა აქაურს ქართველობას, რომელსაც სჯა ჰქონდა სკოლის ავკარგიანობის შესახებ. ურიგო არ იქმნებოდა, რომ ამ კრებაზედ დასწრებულიყვნენ რამდენიმე აქაური პატივცემული და გავლენიანი მცხოვრებნი, რომ იმათ თავიანთის თვალით ენახათ, რაოდენი ქართველობა იყო თავ-მოყრილი ერთად, რაოდენის გულ-უხვებით იკრიფებოდა ფული სკოლის სასარგებლოდ და რაოდენის თანაგრძნობითა და გულ-მტკივნეულობით სჯიდნენ და ბაასობდნენ სკოლის საქმეთა გამო. სკოლის კომიტეტი ბევრს აკეთებს ძლიერ სკოლისათვის და ამ საქმეშიაც ბევრის გაკეთება შეუძლიან.

*** „Русская Жизнь“ ის სიტყვით, ახალის ღერბის წესდების პროექტით შემოღებული იქმნება თითო მანეთიანი მარკები. ეს მარკები უნდა დააკრან ყველა იმ ქაღალდს, რომელსაც ეხლა ოთხ-აბაზიანს მარკას აკრავენ. ამ გვარადაო, ამბობს გაზეთი, ღერბის გარდასახადი რუსეთში ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში დაუღალავის სისწრაფით ჰმატულობს და იზრდებაო.

*** ჩვენ მოგვივიდა სალიტერატურო სასარგებლოდ ათი მანათი. აი შემომწირველნი:

ჯიო 1 მან., დარია მრევლიშვილი 1 მან., ალექსანდრე მრევლიშვილი 1 მან., ანასტასია მიქელოვი 1 მან., ანნა კოლიევი 2 მან., ელენე ჯორჯაძე 2 მან., სოფიო ციციშვილი 2 მან. სულ 10 მ.ნ. ეს ფული დანიშნულებისამებრ იქმნა გადაცემული.

# დამაკვირდი

დიდის ღირსების ადამიანს მცირე ნაკლულევანება და შეცდომა უოკვლდთვის უნდა შეენდოს.

ეშენბახი

**

დედაკაცი უთუოდ მამაკაცის მოსალმობიერებლად არის გაჩენილი.

ვოლტერი

**

შეიძლება ნამვის თითოეული შტო შეიქმნას იმ ცულდის ტარად, რომელიც თითონ იმ ნამვს მოსჭრის.

მეიდანი (არაბ.)

# ნაკვესი

ერთხელ გამოჩენილს მწერალს ინგლისისას მილტონს ჰკითხეს: რად არის ესე, რომ ზოგს ქვეყანაში მეფეს შეუძლიან მიიღოს გვირგვინი ხელმწიფობისა თოთხმეტის წლისამაც-კი, მაშინ როდესაც ცოლის შერთვის ნება-კი არა აქვს თექვსმეტის წლისაზე ადრე?

— იმიტომაო, უპასუხა მილტონმა: რომ მთელის სახელმწიფოს მართვა უფრო ადვილია, ვიდრე ერთის დედაკაცისაო.

## ა რ ვ ა რ გ ა!

არ ვარგა სული ობოლი,
შემკრთალი, შეშინებული;
დაჩლუნგებული გონება,
ძალ-ღონე დადუნებული...
ირემი ჯღა-მოშტვრეული
და სპილო ხორთუმ-ვნებული;
კაცი მეჭორე, ტრაბახი,
დიაცთან შედარებული,—
ოქრო და ვერცხლი უხმარი,
მიწასა შიგან დებული...
არ ვარგა ცხენი ოჩანი,
თავის ნებაზედ რებული,
ქათამი შინ მოკაკანე,
კვერცხი-კი სხვაგან დებული;
დიაცი პირ-უბანელი,
ვაჟკაცთან არ რიდებული;
ცოლი ზარმაცი, მძინარა,
კაპასი, პირ-მქუშებული...
მამაცი, ომის უსწრობი,
ფარ-ხმალი დაჟანგებული!..

განდეგილი

## ჩვენი დაუდევრობა

„კატას თევზი უყვარდა და წყალში ფეხის დასველება-კი ეზარებოდაო“, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენზეა გამოჭრილი: გვაკვირვებს, რომ საზოგადო საქმეში უგულობა და ცუღლუტობა დადი... დამნაშაობაა.ხშირად, რაც კერძოდ, საპირადოდ, მოსაწონი და საქებია, ისვე

---

ბისა არა აქვთ; ეკკლესიაში აფხაზი იქნება წელიწადში ერთხელ შევიდეს. შესანიშნავია, რომ აქაურ ქრისტიანებს ნება აქვთ ჯვარ-დაუწერლათ ცოლის შერთვისა. ასში სწორედ ორს ან სამს ექნება დაწერილი ჯვარი და შესკვნილი გვირგვინი. ამას აქ ეძახიან „ადათით ქორწინებას“.

ამ ნაირ ცოლის შერთვას არც მუსულმანობისა და არც ქრისტიანობისა არა სცხია-რა. ამ სახით აქაური ქორწინება არც სამოქალაქოა და არც საეკკლესიო და არც არავინ ხმას იღებს ამაზედ. ვინ იცის, რამდენი უბედურობა წარმომდგარა ამისთანა ქორწინების მიზეზით, რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი მტრობა და ავკაცობა მომხდარა და მოხდება კიდევ. როგორც ცოლის მოყვანას, ისრე გაგდებას აფხაზი არავის არ ჰკითხავს; ეს არის მხოლოდ, რომ თუ ცოლი განუტევა ჯარიმა უნდა გადაუხადოს ცოლის დედ-მამას. არ გადაიხდის და შესდგება ერთი უბედურობა და ვაივაგლახი. ცოლის ნათესავები ამ, სირცხვილისთვის სამაგიეროს გადახდას სცდილობენ და ბოლოს უსათუოდ სისხლი იღვრება. ღმერთმა იცის, როდის მოეღება ბოლო ამისთანა უწესო ჩვეულებას, რომელიც სჯულის წინააღმდეგიც არის და საზოგადო ცხოვრებისაცა.

ადვილი მისახვედრია, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთს სჯულის გარდამავლობას, მაგრამ ამასაც ყურს არავინ უგდებს. მღვდლები უნდა იყვნენ აქ განათლებულნი მოღვაწენი, რომელთაც კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რა დიდი, წმინდა საქმეა ამისთანა განაპირა, მივიწყებულ ქვეყანაში სამსახური. დღიურს საზრდოზედ არ უნდა ჰფიქრობდნენ, იმდენად უნდა იყვნენ უზრუნველ-ყოფილნი; ეხლა-კი რომ ჰნახოთ, როგორ სცხოვრობენ აქაური მღვდლები, სწორედ შეგეცოდებათ. რასაკვირველია, ამისთანა მღვდლები თავის მოვალეობას ვერ აასრულებენ და სარწმუნოება უფრო და უფრო იკარგება. ერთს მღვდელს მეტრიკის სიაში ჰქონდა ჩაწერილი: აზნაური ესა და ეს (სახელი და გვარი), უკანონო ცოლი მისი ესა და ეს. ამ სიტყვას „უკანონოს“ აქ არავინ ყურადღებას არ აქცევს.

ამ დღეებში ერთმა თავადიშვილმა მოიშორა თავიდამ ქალი, რომელიც „ადათით“ ჰყავდა შერთული და რომელთანაც დიდხანს სცხოვრობდა; მის მაგიერ შეირთო კანონიერად ახალგაზდა ქალი და ამის გამო, რასაკვირველია, ვერავინ ვერას ეტყვის. ამ შემთხვევაში ამ «პატიოსანმა» კანონიერი ქორწინება მხოლოდ ხერხად გამოიყენა თავის ბოროტის საქმის შესრულებისათვის.

თექვსმეტ ვერსზედ გუდაუთიდგან, ზღვის პირას, არის ახალ ათონის მონასტერი. მონასტერს განაგებს არხიმანდრიტი. ამ მონასტერს დიდი სახელი აქვს გათქმული მთელს რუსეთში; ვინ იცის, რამდენი ათასი კაცი მოდის ფეხით აქ რუსეთიდგან. საწყლები ჰყიდიან სახლ-კარს, ყველაფერს სტოვებენ და ხშირად ნოვგოროდის გუბერნიიდგან მოდიან ფეხით ახალ ათონში; რაც ფული თანა აქვთ, მონასტერს უტოვებენ და ბოლოს ბილეთის ფასიც-კი აღარა რჩებათ უკან დასაბრუნებლად; ბოლოს ისევ მონასტერია ხოლმე იძულებული მისცეს ამისთანებს გემის ბილეთის ფასი და ისე გაისტუმროს სამშობლოში.

ეხლანდელი არხიმანდრიტი ამ მონასტრისა მამა იერონი შესამჩნევი მხნე და მუშა კაცია. ის აშენებს ეხლა მშვენიერ ტაძარს, რომელიც მონასტერს დაუჯდება რამდენიმე მილიონი. აქედგან დაინახავთ, რა დიდი შეძლება აქვს ამ მონასტერს. ბევრებს მიზომილი აქვთ ათასს დესეტინამდე მშვენიერი ადგილი, რომელიც ეხლა მშვენიერად არის გაშენებული. საუბედუროთ, მონასტერს დაჰვიწყებია ერთი თავისი უმთავრესი საქმე—აფხაზეთში სწავლა-განათლების მოფენა და დაცემულ სარწმუნოების აღდგენა. ახალ ეკკლესიის აშენება კარგი საქმეა, მაგრამ, ჩემის აზრით, ხალხში სწავლისა და სინათლის მოფენა და მართლ-მადიდებელის სარწმუნოების გამტკიცება უფრო უკეთესი ძეგლი იქმნებოდა და უფრო უკეთესი დამსახურება ღვთისა და კაცობრიობის წინაშე.

ბევრი რამ სიკეთე შეეძლო მონასტერს აფხაზეთისათვის ამოდენის შეძლებით, მაგრამ ეს უანგარიშო ფული ჯერ-ჯერობით სულ შენობათა აგებაზედ მიდის.

არხიმანდრიტი იერონი არავის ანგარიშს არ აძლევს არც სოხუმის ეპისკოპოსს და არც უწმინდესს სინოდს; მხოლოდ ძველის ათონის მთის სასულიერო მთავრობა მიაჩნია ყოვლის უფროსად.

მონასტერში არის სკოლა და ამ სკოლაში 25 მოსწავლეა!

სამსონ დ.

გუდაუთი, 15 მარტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ დასამრახისი და საგმობია. მაგალითად: „სულ გრძელობა და შენდობა“ დამნაშავესი, კერძოდ მოსაწონი საქმეა, როგორც ქრისტიანული გრძნობა! მაგრამ საქვეყნო საქმეში-კი ღალატად ჩაითვლება. ჩვენ-კი საზოგადო საქმეში ვიჩენთ ხოლმე გულ-ჩვილობას და საპირადო საქმეზედ თავის გამოდებას არ გვაკლია.

ბოდიშს ვიხდი ამ ცხარე შენიშვნაზედ, მაგრამ არის ხოლმე მისთანა შემთხვევა, როდესაც გულ-გრილობა აღარ ხერხდება. აქაც ამ გვარ შემთხვევათაგანი გვიდგას თვალწინ: შვიდასი წელიწადია რაც სულ უკან-უკან მივდივართ, ჩვენი ყოველიფერი ყვავ-ყორანმა წაიტაცა. არა თუ ხორციელი, სულიერიც ბევრი აღარა დაგვრჩენია-რა!...—ჩვენის წინაპრების ნაშრომ-ნაღვაწი,—გონებრივი ნაშთი, ისე გაქარ-წყალდა, რომ ძლივს ათასში ერთს, შემთხვევით სადმე შერჩენილს, აქა-იქ ვპოულობთ და ვაგროვებთ წერა-კითხვის, საზოგადოების საწიგნეში, რომ დღეიდან მაინც არა დაეკარგოს-რა შთამომავალს!.. ეს, რომ სახუმრო საქმე არ არის, ამას ვინ არ აღიარებს? მაგრამ აქაც ერთი რამ ხუმრობასავით გამოდის. «ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ზოგიერთი წიგნი, საზოგადოებისადმი შეწირული, თუ მიყიდული, დღეს კერძო კაცების ხელშია და საწიგნოს კატალოგში მოხსენებული არ არის!.. ეს დიდი ხნის ამბავია და რა ნაირად მოხდა, ის ალლახმა უწყის!.. ალბად ეს მაშინ უნდა მომხდარიყოს, როდესაც საზოგადოება, როგორც ახალი რამ, იმ წესსა და რიგზედ არ იდგა, როგორც დღეს არის!..

ამას გარდა კიდევ, დიდი ხანია დავარდნილია ხმა, რომ ზოგიერთი წიგნება, კატალოგში მოხსენებული, ვინმეებს გაუტანიათ, წაუღიათ და აღარ უბრუნებენ უკანვე.—აბა ამაზეა ნათქვამი: „რადა შინ მიუსვლელი და რა-და მგზავრიო?» საზოგადო საქმეში ბოდიში საჭირო არ არის... ვსთხოვთ „წერა-კითხვის გამგეობას“, პირდაპირ გვიპასუხოს: 1) მართალია, თუ არა ეს ხმები? მართლა გაიტანა ვინმემ წიგნები და ნებით აღარ უბრუნებს? 2) ვინ არიან, ისინი? მართველობის წევრებმა, ან ბატონმა მდივანმა რა საშუალება იხმარეს, რომ როგორმე დაებრუნებიათ? და სხვანი.

აკაკი

---

## სწორედ ჩვენი ბრალია!

„Mea culpa, mea maxima culpa!“

პარასკევს აქაურმა რუსულმა გაზეთმა „Новое Обозрѣніе“-მ დიდი საყვედური გვიძღვნა წინა დღეს „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილის გამო, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ამ სეზონში ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ 700 მან. ზარალი ჰნახაო. „Нов. Обоз.“-ე ამბობს: ეგრე რომ ყოფილიყო, საგანგაშო აღარა იქნებოდა-რა, იმიტომ რომ წინადაც ბევრი სეზონი გათავებულა და ხშირად მაგაზედ მეტი ზარალი ჰქონია საზოგადოებასაო.

საყვედურის ღირსნი დიაღაც ვართ, მაგრამ უმორჩილესად ვთხოვთ რუსულ გაზეთს ცოტა რამ ჩვენიც მოისმინოს.

როდესაც ჩვენ დავბეჭდეთ, რომ დრამატიულ საზოგადოებას 700 მანეთი აქვს წრევანდელს სეზონში ზარალით, უთუოდ რომელსამე საბუთზედ დავამყარეთ ეს ამბავი.

წინა დღეებში ჩვენს რედაქციას მოუვიდა ის შენიშვნა, რომელიც დაბეჭდილია „ივერიის“ მე-61 №-ში და იქ სწერია სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „...წარსულს სეზონში დასის გამღოლას 700 მან. მეტი ვალი დაუდვია საზოგადოების გამგეობისთვის...“

შესახებ სხვა რაიმე ზარალისა მთელს შენიშვნაში ერთი სიტყვაც აღარ მოიპოვება; მკითხველი ჰხედავს მხოლოდ იმას, რომ ზარალი ერთობ მკაფიოდ და აშკარად არის აღრიცხული—700 მანეთად.

მაშ შეცდომა ამას შემდეგ გამოგვეცხადებინა, რომ დრამატიულ საზოგადოების ზარალი ამ სეზონში 700 მანეთი არისო, თუ არა?!.

ჩვენ გვგონია, რომ სიმართლე გვქონდა და მოვალეც ვიყავით, დაგვეჯერებინა დაბეჭდილის შენიშვნის ავტორისათვის, რადგანაც იგი ავტორი იყო თვით თავმჯდომარე დრამატიულის საზოგადოებისა, და ვის ეცოდინებოდა ამ საზოგადოების საქმე უკეთ, თუ არ მის თავმჯდომარეს!?.

მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ თთ. თუმანიშვილთა გაზეთი გვესაყვედურება და გვტუქსავს, რატომ ნამდვილი ამბავი არ იცით თქვენის საქმეებისაო!

საყვედურის ღირსი დიაღ ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე თ. გიორგი თუმანიშვილი დაგვიდგება შუამდგომლად „Нов. Обоз.“-ის თანამშრომელ იმავე თავად გიორგი თუმანიშვილის წინაშე, რომ სამართლის სასწორი ცოტა ჩვენსკენაც გადმოიხაროს და, რაც დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარის თ. გ. თუმანიშვილის ბრალია, ის მასვე მოჰკითხოს რუსულ გაზეთის თანამშრომელმა თავადმა გიორგი თუმანიშვილმა და ჩვენ განგვათავისუფლოს, ვითარცა დამნაშავე, რომელსაც აღმოუჩნდა შეუსწორებელი მიზეზი თავის დანაშაულისა.

---

## კორესპონდენცია

**კახეთი** (თელავის მაზრა), 24 მარტი. სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი აქვს მოხვეჭილ, ვერაფერი ნდობა და სიყვარული აქვს დამსახურებული სოფლის მუშა ხალხის თვალში და გონებაში მარტს, ამ პირველს თვეს კეკლუცის და ლამაზის გაზაფხულისას, რომლის სახელსაც, ცოტა არ იყოს, ჩირქსა სცხებს! მარტის ხსენებაზედ ყოველს სოფლელ მეურნეს, მეტადრე მწყემსს, თვალ-წინ გაუელვებს წამს კარგი დარი, წუთს მოქუშული ცა, წამს ცივი წვიმა, წუთს ჭყაპი სუსხიანის ქარით, წამს კიდევ ყინვა, წუთს ისევ თოვლი და ასე ამ გვარად წამით წამ და წუთითწუთ ამინდის ცვალებადობა დღე-ღამის განმავლობაში. თვალყური რომ ვადევნოთ მარტის ამინდებს ბოლოს, ეჭვი არ არის, ცუდი ამინდების რიცხვი ერთი ორად გადააჭარბებს. ამიტომაც არის, რომ ხალხს მარტზე არა სასურველი აზრი შეუდგენია და ანდაზა-არაკებით შეუმკია—მარტო აი ეს ანდაზა: „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებ“, ნათლად გვიხატავს მის ახირებულობას. სჩანს, ზამთრის ავკარგიანობის დაბოლოვება მარტზედ კიდებულა: უნდა ალოცვინებს ხალხს, უნდა დააწყევლინებს! რა გაეწყობა, ალბად, როგორც ყოველ წარსულის ნამოქმედარის მსჯავრის დამდები აწმყოა, ისე მარტი თუა წარსულის ზამთრის მოქმედების ამწონ-დამწონი, დამფასებელი და, როგორც ეხლანდელი მართლმსაჯულება თხოულობს, ისიც, მომეტებულს შემთხვევაში, მკაცრის განაჩენით აბოლოვებს ხოლმე განხილულს საქმეებს.

მარტი ხომ საზოგადოდ ამ ზნისაა, მაგრამ საკუთრივ წლევანდელი მარტი რომ ავიღოთ კახელებმა,—მოყვანილი ანდაზა რომ ცოტა პირში წყალს არ გვაყენებდეს მით, რომ არ ვიცით, მარტის უკანასკნელი განაჩენი რა ხასიათისა იქნება,—ავრე რიგად ვერაფერს დავემდურებით, რადგანაც საკმაოდ თბილა, დარ-ავდარიც თავ-თავის დროზედ იცვლება, მინდორ-ველი სამხიარულოდ მორთვას აპირობს, ნახნავები საამურად ამწვანდა, რომელთ დანახვაზედაც გაქრა შიში კახელებისა, რომ ზამთრის წრეს გადასული ყინვები დააზრობდა უდროვო დროს ნათეს ნაფარცხსაო. რაც შეეხება ვაზის სიმთელეს, ამ მხრივ ბერფუყმა ვაზმა ველარ აიტანა მკაცრი სიცივე და მრავლად გადახმა. არც ისაა, რომ მარტი ხანდახან არა სწყრებოდეს, მაგრამ ღიმილიც საკმაოდ უქრის პირზედ, ე. ი., კარგი სამუშაო დარებიც დგება და ეს ხომ სოფლის მუშისათვის სრული ბედნიერებაა, თუ რომ ახალ-ახალ ივარამი არ აშფოთებდეს, უიმედობაში არ აგდებდეს! «ვირო, აღმართი, დაღმართიო, შენთვის არ არის წაღმართიო! გაიძახის საწყალი, გულ-ჩათუთქული გლეხ-კაცი... ჯერ იყო და „ფოსტის ფულის“ ნახევარის ამ თავითვე გადახდამ მწარედ დაალონა სოფლის ხალხი. თავის შეწუხებაზედ თხოვნაც მიართვეს მაზრის უფროსს, გვიშუამავლე, ცოტახან გვადროვონ, სანამ ხელში რამე მოვიგდებდეთო, თორემ მთლად დავიღუპებითო. როგორც ამბობენ, თხოვნა შეწყნარებულია, და გადასახადის აკრებაც გადადებულია მაის თიბათვემდე... ამ ვარამს მოჰყვა ახალი საჭირ-ბოროტო თელავის მაზრის გლეხთათვის „წინანდლის ბეგარა“.

მკითხველს, ეხსომება, რომ წარსულის წლის გაზაფხულის ნიაღვრებმა მრავალი ხევი უზომოდ მოადიდა, რის შედეგიც იყო წალეკა, სრულიად რიყედ ქცევა და განადგურება აუარებელის სახნავ-სათესის მინდორველისა, მრავალ აშენებულ ვენახისა, და, ამის გარდა, თვით სოფლელთათვის დანგრევა და ბინის აშლა წყალისაგან! ერთი უდიდესი ალაგი ქვეყნის ამაოხრებელ ხევთა შორის უჭირავს „წინანდლის რიყეს“, რომელიც ყოველ წლივ დიდს ზარალს აძლევს მის ახლო-მახლო მოსახლე-კარეთ და რომელმაც შარშან ხომ წრეს გადააბიჯა, გვერდი აუქცია წინად არჩეულს გზას, მივარდა ხუთას კომლიან სოფ. კონდოლს და თითქმის მთლად წანაშა! აი ამ მოუსვენარ ხევის კალაპოტში ჩაყენება მოუწადინებია მთავრობას, და საბრალო ხალხის დღევანდელი ვარამიც ეს გახლავთ... ვინ იტყვის, რომ სა ერთო ძალ-ღონით და მოქმედებით მოძმეთა და მოყვასთა საშველად კეთილის ქმნა კარგი და დიდი საქმე არ იყოს, მაგრამ რა ქნას სოფლის ღარიბ-ღატაკმა ხალხმა, როგორღა წაიგდოს წინ თავის საკუთარი საქმე, თუ რომ თავად სხვის შველაში გაატარებს სათოხნო საქმისათვის ძვირფასს დროს? ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ თითქმის ყველა სოფელს თავის საკუთარ ხევის გამაგრება სჭირია.

არ იფიქროთ, რომ მე წინააღმდეგი ვიყო და ვამბობდე წინანდლის რიყეს ჯებირ-გალავანი არ უნდაო, მაგრამ, ნათქვამია: წყალი სათავიდამ მოსწყდებაო, და ჩვენც და მთავრობაც იმას უნდა ვსცდილობდეთ, ხევების მოდიდების მთავარ მიზეზს კარგად ჩაუკვირდეთ და იქიდამ დავიწყოთ მათის მაზარალებელის მსვლელობის შეჩერება, თორემ რამდენიც კავკასიაში ხევია, იმდენს რომ ციხე-გალავანი ვუგოთ, სად წავა? ასეც რომ მოვიქცეთ და ჩვენი ძალ-ღონეც და სიცოცხლეც რომ მათ აშენებას შევალიოთ, მაინც ხევებისაგან განადგურებას ვერ მოურჩებით, თუ რომ იმ ადგილებს არ გაუფთხილდით, საიდამაც ხევები იწყება.

ფ—ლი

---

## ხალხის თქმულება კახეთის შესახებ

კახეთს გარშემო მთები არტყია. მთების კალთები და-დაბალი გორები ძირობამდე შემოსილია უღრან, თითქმის ხელუხლებელი ტყეებით. ამ ტყეებში ხშირად შეხვდება ადამიანი ნასოფლარებს, ნაციხვარებს, ნასაყდრალებს და მრავალ გვარ ნანგრევებს. ბევრგან მიყრუებულ ტყეში ჰნახავს კაცი მშვენიერს ტაძარს, ჯერ აქამომდე დაუნგრეველს, უვნებლად გადარჩენილს დრო-ჟამის მოქმედებისაგან. ამ ნაირი კვალი ძველის ცხოვრებისა უფრო მრავალწლოვანი ხეებით დაფარულს მთაგორებს ეტყობათ. ამ უღრანის ტყეების ნანგრევთა წარსულზე მოხუცებული კაცები შემდეგს ამბობენ: უწინდელ უხსოვარ დროში ეხლანდელი კახეთის დაცემულ და ვაკე ადგილზე ზღვა მდგარა, რომელიც საიდამღაც გადმოვარდნილა. ამ დროს ხალხი მაღლობ ადგილებზე სახლებულა. როცა ზღვა დამშრალა, მაშინ ხალხსაც ძირს დაუწევია და ეხლანდელ ნანგრევ-ნასოფლარები უქმად დარჩენილაო. ზღვის დაშრობის მიზეზად შემდეგ ლეგენდას ასახელებენ: როცა კახეთი ზღვასა სჭერია, ბოჭორმის წმინდა გიორგის ჰყოლია ერთი კურატი, რომელიც დრო და დრო დაიკარგებოდა ხოლმე და, როცა უკანა ბრუნდებოდა, თურმე რქებს სისხლში გაბასრულს მოიტანდა ხოლმე. შემდეგ, როცა შეიტყეს, რომ კურატი ზღვის პირზე მიდის, ზღვიდამ გველეშაპი გამოდის, რომელიც კურატს ებრძვის, კურატიც თავისას ცდილობს, მაგრამ გველეშაპის კანს ვერაფერს აკლებს,—მაშინ ადგნენ წმიდა გიორგის ყმები და კურატს რქებზე ალმასები აასხეს. კურატი ისევ წავიდა გველეშაპის საომრად. გველეშაპიც გამოვიდა და შეიბნენ. გველეშაპის კანმა ალმასიანი რქების შეხებაზე დაჰკარგა წინანდელი თვისება, გველეშაპმა იგრძნო ეს, შეშინებული ისე ძლიერად შეცურდა ზღვაში, რომ თავი ველარ შეიკავა, ეცა იმ გორას, რომელიც შირაქის ბოლოს, სადაც ეხლა ალაზანი და იორი გადაჩხრიალებენ, იყო გაჭიმული და ზღვას აგუბებდა, გაანგრია იგი, და ზღვაც გადავარდა. კახეთი განთავისუფლდა წყალისაგან, გაშრა, ხალხმა მაღლობებიდამ ძირს დაიწია და დაიწყო იქ ცხოვრება, სადაც დღეს სცხოვრობს.

ფშაველიშვილი

1894 წ., 24 მარტი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

საზღვარ-გარეთის გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ხსოვნა-მოგონებანი და ამბავნი კოშუტის ცხოვრებიდგან. მოგვყავს ორიოდე ამბავი კოშუტის შესახებ. საზღვარ-გარეთის ერთი გაზეთი გვიამბობს ლუდვიგ კოშუტის ოსმალეთში ყოფნის ამბავს.

1850 წელს კოშუტი კუტაგიაში იყო, სადაც წელიწად ნახევარი სამეცნიერო წიგნების წაკითხვასა და შესწავლაში გაატარა. ერთის ამ ქვეყანაშივე გარდახვეწილისაგან, სახელდობრ ადოლფ ორისდისაგან, კოშუტმა ოსმალური ენა შეისწავლა და ოსმალურ-უნგრული გრამატიკა შეადგინა. დედანი ამ გრამატიკისა ეხლაც ინახება უნგრეთის პარლამენტის დეპუტატ გენტალლერთან.

ავსტრიის მთავრობა სთხოვდა ოსმალეთს, რომ კოშუტი, ვითარცა სახელმწიფო ღალატში დამნაშავე, ჩვენვე მოგვეცითო. აი ამის შესახებ თვით კოშუტი რასა სწერს თავისს წერილებში:

> ოსმალებმა დიდ-სულოვანად დაიხსნეს ჩემი სიცოცხლეცა და ჩემის ამხანაგებისაც. ორი მეზობლად მყოფი სახელმწიფო ემუქრებოდა ოსმალეთს ომით, თუ კოშუტს არ დაგვანებებთო. საშიშს მდგომარეობაში იყო ოსმალეთი და სულთანის ვეზირნი უკვე იმ აზრს დაადგნენ, რომ მხოლოდ ერთის საშუალებით შეიძლება კოშუტისა და იმის ამხანაგთა გადარჩენაო. ეს საშუალება ის არის, რომ მაგ ჩვენში შემოვრდომილებმა მაჰმადიანთა სარწმუნოებას შემოუერთდნენ და ოსმალეთის ქვეშევრდომებად ჩაეწერნენო. მაგრამ ამ დროს სულთანი აბდულ-მეჯიდი წამოდგა თავის ადგილიდგან, აღმართა ხელნი ცად და სთქვა:
>
> — ალლაჰი ყოვლად ძლიერია და ჩემი თავი იმის მფარველობისათვის მიმინდვია. თუ მე დაღუპვა მომელის, მინდა, რომ ჩემი სახელი მაინც შეუბღალველი დარჩეს. ვერ ვიკისრებ სირცხვილს სტუმარ-მოყვარეობის უფლების დარღვევისას და შურის საძიებლად ვერ დავანებებ მტრებს მაგ უბედურთ, რომელნიც თავშესაფარის საპოვნელად ჩემთან გადმოხვეწილან. დეე მოხდეს, რაც მოსახდენია. ვერ დავანებებ. ეს არის ჩემი სურვილი და იქმნას ასე. იღონეთ საშუალება მათდა დასაცავად.

კოშუტი მართლაც არ დაანება ოსმალეთმა. სულთანმა კოშუტს საჩუქრად გაუგზავნა ძვირფასი ხანჯალი, რომელიც ამ ჟამად გრაფს კაროლიისა აქვს.

**

აი რასა სწერენ ვენის გაზეთ „Neue Freie Presse“-ში იმის შესახებ, თუ როგორ მიეგებნენ უნგრეთის მკვიდრნი კოშუტის გარდაცვალების ამბავს. წერილი ეკუთვნის ყოვლისავე ამ ამბის თავის თვალით მნახველს:

> ბევრჯელ მინახავს ერის მწუხარებაო, სწერს იგი: მაგრამ ასეთს ამბავს-კი არასოდეს დავსწრებივარ. ის გარემოება, რომ სამგლოვიარო დროშანი და მისი სურათები გამოჰკიდეს ქუჩებზედ, კიდევ შეიძლება გატაცებას, თავის მოწონების სურვილს მივაწეროთ. მაგრამ დიდად გაოცდებით, თუ პეშტის მიყრუებულ უბნებისაკენ ჩაიარეთ. ყოველ მუშა-კაცის სახლში, ყოველ მეწვრილმანეს დუქანსა და სამიკიტნოში ჰნახავთ კოშუტის სურათს, სამგლოვიარო არშია შემოვლებულს. ყველგან იმას-ღა ჰლაპარაკობენ, თუ რა დიდი დანაკარგი დაჰკარგა ერმაო. ყველგან გულ-წრფელი, დიდი, მწუხარებ ჰმეფობს იმის გარდაცვალებისა გამო.

---

# უცხოეთი

—

**გერმანია.** დასავლეთ ევროპის გაზეთებში დიდი ლაპარაკია ამ ჟამად იმ გრაფ კაპრივის მიერ გადაკვრით ნათქვამ შენიშვნის შესახებ, რომ მერმისში იქნება „საერთაშორისო მორიგება“ შესაძლებელი გახდესო. ლონდონის გაზ. „Standard“-ი ამბობს, რომ ამ ნათქვამით კაპრივის სახეში ქონდა მხოლოდ ანარხისტების წინააღმდეგ ბრძოლაო. „Morning Post“-ი, პირიქით, ამბობს, რომ მაგას გარდა, კაპრივიმ გამოსთქვა თავისი სურვილი იარაღის აყრისა და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების სარგებლობის შესახებაო. ამავე აზრისაა „Times“-იც. ეხლა ამ გაზეთს მოჰყავს მთელი ნუსხა იმ წარჩინებულ კაცთა სახელებისა, რომელნიც იარაღის აყრას ემხრობიან. ამ ნუსხაში მოქცეულია დანიის მეფე, ავსტრიის იმპერატორი, იმპერატორი ჰუმბერტო, ისპანიის დედოფალი. გაზეთი ამბობს, ეჭვი არა გვაქვს, იარაღის აყრის საქმე გერმანიის იმპერატორმა რომ ითაოს, დიდს დაბრკოლებას არ შეჰხვდება რუსეთისა და საფრანგეთის მხრივ. იარაღის აყრა დიდი ხანია დედა-აზრად მოწონებულია ევროპის სახელმწიფო კაცთა მიერ, თვით ბისმარკისაგანაც-კი. საქმე იმაშია, რომ ყოველი სახელმწიფო მეორესაგან ელის ამ საქმის დაწყებას. მილიტარიზმი მჭიდროდ არის შეკავშირებული გერმანიის და მის მოკავშირე სახელმწიფოების საპოლიტიკო წეს წყობილებასთან. ამიტომ ძნელად მოსალოდნელია, რომ ამ დედა-აზრის განხორციელება ამ ჟამად შესაძლებელი იყოსო.

**საფრანგეთი.** „Figaro“-ს ამბავმა იმის შესახებ, რომ იმპერატორი ავსტრიისა ფრანც-იოსები დიდად ალერსიანად მოექცა საფრანგეთის ერთს მოხელესაო, აალაპარაკა გაზეთები, რომ მგონი ეხლა-კი შესაძლებელია სამთა კავშირთან მორიგებაო, მით უფრო, რომ ევროპაში ამ ჟამად მშვიდობიანობას უფრო ბევრი მომხრე უჩნდებაო. აი ამის შესახებ რასა სწერს გაზ. „Estaffete“.

„რაც ჩვენ შეგვეხება, დარწმუნებულნი ვართ, რომ სამთა კავშირის არც ერთი წევრი არ გაექცევა ჩვენთან მორიგებას. ევროპის ხელმწიფეთა შორის ყველაზედ მეტად ჩვენგან ფრანც-იოსებია დაზარალებული. იმის წინააღმდეგი ბრძოლა გვქონდა 1859 წ., რომ იტალიიდგან განგვედევნა, ხოლო 1866 წ. პრუსიას არ დავუშალეთ თავს დასცემოდა და გერმანიიდგან განეძევებინა. ამან მაინც ხელი არ შეუშალა და ფრანც-იოსები შეეკავშირა იტალიასა და გერმანიას, სრულიად დაივიწყა წყენა, რომელიც ჩვენ მივაყენეთ. საფრანგეთში იმყოფებოდა იგი და სთქვა, რომ კიდევ დავბრუნდებიო. ის რუსეთი, რომლის წინააღმდეგაც იყო შეკავშირებული სამი სახელმწიფო, გერმანიას ფრიად შესანიშნავის ხელშეკრულობით შეეკრა და განზრახვა აქვს ასევე შეეკრას ხელ-შეკრულობით ავსტრიასაც. ამასთან არც ვილჰელმის მე-II-სა და არც ფრანც-იოსებისაგან არ მოუთხოვნია რუსეთს, რომ სამთა კავშირს ჩამოეცალენითო. ჩვენც რომ ისე მოვიქცეთ მეფე ჰუმბერტოსთან, და იმპერატორ ფრანც-იოსებთან, როგორც რუსეთი მოიქცა პრუსიასა და ავსტრი-უნგრეთთან, „შეურიგებელი ხელმწიფე“ აღარ იქნება. ყოველ დღე სამთა კავშირის სამდურავში ვართ და ამითი უფრო ვახიხებთ მორიგებას, რომელიც შეიძლება განვახორციელოთ საეკონომიო ინტერესებისა და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის ნიადაგზედ“.

## გამოსადეგი ცნობა

—

ჭაერის სიმშრალის აცდენა. ყველამ კარგად იცის რა ცუდია მეტის-მეტი მშრალი ჭაერი ჯანმრთელობისათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით სუსტ გულიანთათვის ხომ სწორედ საწამლავია. აი სულ უბრალო საშუალება ამის ასაცდენად: კედელზედ ჭერთან ახლო მიაკარით ფიცარი თაროს მაგვარად, რომ ზედ მათლაბა დაიდგას; იატაკზედ ამ ფიცრის ქვეშ დასდგით დიდი და განიერი ჯამი წყლით. მერე აიღეთ პირსახოცა ანუ გრძელი ტილოს ნაჭერი, პირსახოცის სიგანე, და ამ ტილოს ერთი წვერი ჩასდეთ ჯამში და მეორე მათლაბაში და ზედ აგური ან სხვა მძიმე რამ დაადეთ. ჯამიდგან წყალი თანდათან გაუჟღება ამ ქსოვილს და ორთქლად ავა, ასე რომ, დრო და დრო წყალი რომ უმატოდ ჯამში, ყოველთვის ჭაერი იმდენად ნოტიო იქნება, რამდენადაც ეს საჭიროა.

# დეპეშა

24

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნება დაერთო ფინანსთა მინისტრს ვიტტეს მიიღოს და ატაროს გერმანიის იმპერატორისაგან ბოძებული დიდი ჯვარი წითელის არწივისა.

**პარიზი.** დღეს საღამოზედ სასტუმრო ფაიოში სენატის პირ-და-პირ ყუმბარამ იფეთქა, რომელიც ფანჯრის ფიცარზედ იდო; ისეთის ძალით იფეთქა, რომ მინები დაამსხვრია. ერთ პატარა ბიჭს დაენახა, რომ ვიღაც ასე 30 წლის კაცმა, მუშა-კაცის ტანისამოსით მოსილმა ეს ყუმბარა იმ ყვავილების ყუთზედ დასდო, რომელიც რესტორანის ფანჯარაში იდგა და თითონ გაიქცა. ყუმბარით დაიჭრა: ტალიადი სოციალისტთა მწერალი, რომელიც ანარხიზმს ქება-დიდებით იხსენიებდა, გარსონ ტომაზო და ქალიშვილი ებელინგი, დანარჩენნი ოდნავ დაშავდნენ; დაჭრილთ სიკვდილით არა უჭირთ-რა. დამნაშავე არა სჩანს. დაპატიმრებული იყო ორი კაცი, მაგრამ გააიავისუფლეს. თვისება ასაფეთქებელის იარაღის ჯერ არ იციან; დღეს დილით განაგრძობენ საქმის გამოძიებას. გაზეთები ერთის ხმით ჰკიცხავენ ამ დანაშაულობის ჩამდენთ.

25 მარტი

**ვენა.** პრაგიდამ იუწყებიან, რომ ერთის იჭაურის მექარხნეს სახლში, იმ დროს, როცა თავის დაბადების დღეს დღესასწაულობდა, აფეთქეს ყუმბარა, რომელშიც რკინის ნატეხები და ნაჭრები იყო გაკეთებულიო.

პრჟემისლიდამ იუწყებიან, რომ საკათედრო ტაძრის გამგეობაში დიდი ყუმბარა იპოვნესო; მოსამსახურეებმა მოასწრეს და დროზედ გააქრეს პატრუქი ყუმბარასი. ყუმბარასთან იპოვნეს პატარა ბარათი, რომელზედაც ეწერა: „სიკვდილი ხუცესებსო“ ამ ბოროტ მოქმედებას აწერენ რადიკალებს, რომელთაც სძულთ საკათედრო გამგეობა, რადგან ამ გამგეობაში სტრო-სუსინთა ტენდენციებს მისდევენო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,45}$ | $7_{,48}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148¾ | 149¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101⅝ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101⅝ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერაფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



**6 აპრილს 1894 წ. საღამოს 8 საათზედ,** სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში იქმნება საჯარო ვაჭრობა 3 წლის და 8 თვის ვადით, ე. ი. 1 მაისიდან 1894 წ. 31 დეკემბრამდე 1897 წ. **სამ სართულიანის შენობის, იჯარით გასაცემად.** ამ შენობაში არის 22 დუქანი სარდაფებით და 9 ოთახი ზემოსართულში, სადაც ეხლა სასტუმრო „ვარშავა“-ა და კიდევ ოთხ ოთახიანი ფლიგელი. სახლი იმყოფება პოლიციის მე—3 ნაწილში, იარმუკაზედ, პუშკინისა და გრაფის ქუჩაზედ და ეკუთვნის ზემოხსენებულ სემინარიას. საიჯარადრო ფულს ეხლა აძლევენ 12,356 მ. წელიწადში.

პირობების შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელერიაში ყოველ დღე, უქმე და დღესასწაულ, დღეებ გარდა, დილის 10—12 საათამდე. (1—1069—1)



**ცხოვრება**

შეიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.



დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნების მაღაზიაში. კ. თავართქილაძის გამოცემული.

**ყაჩის მოვლა**

ნ. შარაშიძისა

56 გვერდი 10 კ.

და

მოხუცი გერასიმეს ლომი მისივე. 5 კ.

(3—1065—2)



თესლეულობით ვაჭრობა

გ. გ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ვ ი ღ ე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—14)



დაიბეჭდა და ისყიდება

ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

მეორე გამოცემა წიგნისა:

**УЧЕБНИКЪ ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА**

для русскихъ

СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ

цѣна 50 коп.

(10—3)



დაიბეჭდა და ისყიდება

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები

„პლატონ იოსელიანი“

ფასი სამი შაური



კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

ოლღაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—175)



„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.



„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცხელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |